

## ბანმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე წინამდებარე ცვლილება გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, რომლის თანახმადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში შესაძლოა დადგინდეს „კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალი“. სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ კი განისაზღვრება „კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი“

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალისათვის დაფინანსების წყაროდ კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის განსაზღვრა და აღნიშნული მოსაკრებლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ჩარიცხვის წესის დადგენა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:  
არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი ჩაირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში, რაც გამოიწვევს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი იქონიებს გარკვეულ ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა საკუთრებაშიც იმყოფება კულტურული მემკვიდრეობის სარაბილიტაციო არეალში არსებული ქონება (შენობა-ნაგებობები). კერძოდ, ისინი ჩაითვლებიან კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის გადამხდელებად. მოსაკრებლის ოდენობა, ასევე გადამხდელ სუბიექტთა კონკრეტული წრე განისაზღვრება წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელი კანონპროექტით „ადგილობრივი მოსაკრებულების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის შემადგენელი კანონპროექტით „ადგილობრივი მოსაკრებულების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია, საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია, საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“